

Turkish Vocabulary with Turkish Derivatives in Muhajir Speech

Vardo Chokharadze

Batumi Shota Rustaveli State University
Department of Oriental Studies
Georgia, Batumi
Vardo.Chokharadze@bsu.edu.ge

Abstract

The study of the Samkhruli speech has a long history. Accordingly, the study of the Turkish element in the speech of Muhajir is a major problem of Georgian linguistics. Old people speak Georgian in this region, while youthspeak Turkish. The first information about the "Chorokhi countries" and the speech of people living there, can be found in the recordings of such famous travelers and researchers of the XIX century as G. Kazbegi, D. Bakradze, D. Bavreli.

The speech of Muhajirs is full of various Turkish elements, Turkish lexicon with Turkish derivatives. Let's consider some examples on this occasion.

Keywords: Turkish Derivatives in Muhajir.

თურქული ლექსიკა თურქული მაწარმოებლით მუჰაჯირთა მეტყველებაში

ვარდო ჩოხარაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი
საქართველო, ბათუმი
Vardo.Chokharadze@bsu.edu.ge

აბსტრაქტი

სამხრულ მეტყველებაში გაირჩევა რამდენიმე შემთხვევები, როცა თურქული სიტყვები თურქული მაწარმოებლითაა.

საინტერესოა ასეთ ლექსიკაზე დაკვირვება სიხშირის თვალსაზრისით, რათა დადგინდეს თურქულის გავლენის დონე და ქართული სიტყვათწარმოების სიმყარე.

სამხრულ კილოებში მრავლად დასტურდება თურქული ლექსიკა თურქული მაწარმოებლით. ფაქტი არაა მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ქართულ - თურქულ ენობრივ ურთიერთობებს.

საკვანძო სიტყვები: მუჰაჯირთა მეტყველება.

მსჯელობა

სამხრულ მეტყველებაში გაირჩევა რამდენიმე შემთხვევები, როცა თურქული სიტყვები თურქული მაწარმოებლითაა.

საინტერესოა ასეთ ლექსიკაზე დაკვირვება სიხშირის თვალსაზრისით, რათა დადგინდეს თურქულის გავლენის დონე და ქართული სიტყვათწარმოების სიმყარე.

სამხრულ კილოებში მრავლად დასტურდება თურქული ლექსიკა თურქული მაწარმოებლით. ფაქტი არაა მოულოდნელი, თუ გავითვალისწინებთ ისტორიულ სამხრეთ საქართველოში ქართულ - თურქულ ენობრივ ურთიერთობებს.

გვხვდება **-ci** აფიქსებით ნაწარმოები სახელები. **-ci⁴** (**-ci**, **-ci**, **-cü**, **-cu**) აფიქსები გამოიყენება ხმოვანფუძიანი და მჟღერ თანხმოვანფუძიანი სახელებისთვის. მაგ:

ყავლაჯი - **kavgā** (ქავგა) - ჩხუბი; **kavgacı** - ქავგაჯი - მოჩხუბარი:

„ჩემი დედეი ყავლაჯი ყოფილა“; „ყავლაჯი იყო ჩემი ღარჭი, მოკტა“...

დუა-ჯი - **Dua** - (დუა) - არაბული სიტყვაა და ნიშნავს „მუს. ლოცვას“; **duacı** - დუაჯი - „მლოცველი“:

„ფენა დუაჯი დედეია“; „დუაჯი დედეი მომიკდა“; „ჩემი დედეი დუაჯი იყო“ ...

დეღერ-ლი - **değer** - ღირებულება, ფასი; **değeri** - დეღერლი - „ძვირფასი“:

„ახლა გურჯულაი ზოორ დეღერლი გახდა“; „ქორწილში დეღერლი ნიშან წულებით“...

დუბარა-ჯი - **dubara** - (დუბარა) - 1. „დუბარა“ - წყვილი ორიანი (კამათლების მდებარეობა ნარდში); 2. *ჟარგ.* ინტრიგა, მოტყუება; **dubaracı** - დუბარაჯი - „ვერაგი“ „გაიძვერა“:

„იმფერი დუბარაჯია მაგი, რომე ილლა მოგატყვილეფს“; „ის ღარჭი დუბარაჯია“...

დუქქან-ჯი - **dukkan** - (დუქქან) - არაბულიდან შემოსული სიტყვაა და ნიშნავს „სავაჭრო“, „მაღაზია“; **dukkanacı** - დუქქანჯი - „მედუქნე“, „გამყიდველი“:

„ღარქი დუქქანჯი იყო დადიხურა“; „თუქანჯია, ძალიან მატყუარა“...

ზურნაჯი - **zurna** - (ზურნა) - (აღმოსავლური ჩასაბერი მუსიკალური საკრავი); **zurnacı** - ზურნაჯი - „მეზურნე“:

„ზურნაჯი დულუნებში ზოგან მოყავან“; „დულუნში ორი ზურნაჯი იყო“; „ხასანაი ზურნაჯის მოსაყვანად წევდა“...

აბან-ჯი - **Yaban-** (იაბან) - უდაბნო, უცხო, გარეული; თ. **Yabancı** - **Áბანჯი** - „უცხოზი“, „უცხოელი“):

„ებუზები ფენა უკბენენაბანჯ“; „მარწყვი მავიწყდება, აქაცარი, აბანია, დარგონა“; „ისა დაკვირვებულა, აბანჯი არიქსმეთქი“...

ვერგი-ჯი - **vergi-** (ვერგი) - გადასახადი, ბეგარა; **vergici** - ვერგიჯი - „გადასახადის შემკრები“:

„ვერგიჯი მუა და დეფტერს ამოწერს“; „ვერგიჯმა მეიტანა ქვითარი“...

ფურუნჯი - **fırın** - (ფირინ) - ღუმელი; (**fırınçı** - ფირინჯი - „მეფურუნე“):

„ფურუნჯის უთქუამს: სამასი წლის ფარა არიო“; „ფურუნჯი ეიყუანა და მუუკდა“...

შახაჯი - **şaka** - (შაქა) - ხუმრობა; **şakacı** - შახაჯი - „ხუმარა“:

„შახაჯი იყო, დაგრეხილი ლაპარაკი იცოდა“; „ჩემი ქმარი ძალიან შახაჯი იყო, ორი წელი კდარია“; „დედეი შახაჯი კაცი იყო“...

ტათლიჯი - **tatlı** (თათლი) - ტკბილი; **tatlıcı** - თათლიჯი - „ტკბილეულის გამომცხოზელი“:

„უსეინი ტათლიჯი არ არი“; „ეს ბორელები ტათლიჯი არ არი“...

რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება რაოდენობით რიცხვით სახელზე სათანადო აფიქსის დართვით. თანხმოვანფუძიანთათვის რიგობითის საწარმოებლად გვაქვს - **inci**⁴ (**inci, incı, üncü, uncu**), ხოლო ხმოვანფუძიანთათვის - **nci**⁴ (**nci, ncı, ncü, ncu**). მაგ: იქინჯი - **iki** - (იქი) - ორი; **ikinci** - იქინჯი - „მეორე“:

„ჩემი ღარჭი იქინჯი კლასშია“; „იქინჯი ოდაში წევს“;
„იქინჯი გაფხეკა დღუგვიანდა სიმინდას“...

ca, ce, ça, çe აფიქსი აწარმოებს 1. ენას აწარმოებს - **Türk – türkçe** – თურქი – თურქული, **Gürcü – gürcüce** – ქართველი – ქართული ენა. 2. ვითარება – გარემოების აღმნიშვნელ სახელებს. მაგ: **Güzel – güzelce** – ლამაზი – ლამაზად, **Geniş – genişçe** – ფართო. 3. ოდნაობითი ხარისხის ზედსართავ სახელებს. მაგ: **Beyaz – beyazca** – თეთრი – მოთეთრო, **Kara – karaca** – შავი – მოშავო.

გურჯუ-ჯე – **Gürcü** (გურჯუ) – ქართველი; (თ. **Gürcüce** – გურჯუჯე – „ქართულიენა“ „ქართულად“):

„თემიზათ ლაპარიკობენ გურჯიჯას იმერხეველები“;
„შავშეთელებსა გურჯიჯა ბევრსა აღარ ახსოვან“; „გურჯიჯა^ა ჰიჩარ გვიმღერია, ჩვენზე დიდვანებს უმღერია“;
„ახლაგურჯულა^ა ძალვან დედერლი გახდა“...

თურქ-ჩა – **Türk** – (თურქ) – თურქი; **Türkçe** – თურქჩე – „თურქული (ენა)“, „თურქულად“:

„შავშეთელები არ მიყუარან, ენა დაკარქეს, თურქჩა ლაპარიკი აქუან მარტო“; „ბაღნებმაკა^ა იყვონო, სულ თურქჩას ვილაპარაკებდით“...

ჟაფონ-ჯა – japon – (ჯაფონ) – იაპონია; japonca – ჟაპონჯა – „იაპონური ენა“:

„ჟაპონჯა ვიცოდი პაწაი და დეველაპარიკე“; „ჟაპონჯა ღარჭმა იცის“...

ინგლიზჯა – ingliz – (ინგლიზ) – ინგლისი; inglizce – ინგლიზჯე – „ინგლისური“:

„ჩვენთან ოქულებში ინგლიზჯა ისწავლება“; „ბა^ალაღ ინგლიზჯა კარქა იცის“...

-ჩა სუფიქსი დაერთვის საზოგადო არს. სახელებსაც.

ტაბან-ჩა – taban – (თაბან) – ფეხისგული, ლანჩა, იატაკი; (tabanca – თაბანჩა) – „პისტოლეტი“:

„ტაბანჩა წელზე ქონდა გამოკიდული“; „ტაბანჩა ისროლა და მოკდა“; „ტაბანჩა ოდაში აქ ჩამოკიდებული“; „დოლაბში ტაბანჩა იდო და ღარჭმა ეილო“...

სამხრულ დიალექტებში გვხვდება თანაობის აღმნიშვნელისახელების მაწარმოებელი აფიქსებით გაფორმებული არსებითი სახელები. თანაობის აღმნიშვნელი აფიქსებია მჟღერი თანხმოვნებისათვის **daş, deş**, ყრუ თანხმოვნებისათვის **taş, teş**. მაგ: **Vatan – vatandaş** – მამული თანამემამულე, **Meslek – meslektaş** – პროფესია - კოლეგა, **Yol – yoldaş** – გზა - თანამგზავრი, **Din – dindaş** – რწმენა – ერთმორწმუნე.

არხა-თაშ-ი –(თ. **Arkadaş** - არქადაშ) - „მეგობარი,“ „ახლობელი“, „ამხანაგი“:

„არხატაშებმა ისე რაცხა უთხრეს მე რა ვიცი“; „არხატაში სა წეიყუანე“; „ხოხლევდიან არხატაშები მოვლიან“; „არხატაში გუშინ მოიდა და **Á**აილაში წევდა“ ...

სიტყვა „**Arkadaş**“ ორი ნაწილისაგან შედგება: „**Arka**“ - ზურგი და „**Taş**“ - იგივეა რაც „**Daş**“ شت და ნიშნავს თანამონაწილეს, სიტყვა-სიტყვით თანამეზურგეს.

Áოლ-დაშ - yol- (იოლ) - გზა; **yoldaş** - **Á**ოლდაშ - „თანამგზავრი“ - „yol“ - „გზა“:

„ღმერთმა კაი **Á**ოლდაში მოქცევს იმ დუნ^Áას“; „**Á**ოლდაშები სად არიან“...

დასკვნა

როგორც ვხედავთ, სამხრულ მეტყველებას თურქული ენიდან შეუთვისებია სულ რამდენიმე სიტყვასაწარმოებელი აფიქსი. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აფიქსებით ნაწარმოები სახელები ექვემდებარება ქართული ენის კანონებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თურქულ - ქართული ლექსიკონი, I - II, სტამბოლი, 2001;
2. Kâmusî Türki Şemseddin sâmî. Ankara, 1989;
3. Türkçe- Sözlük, Ankara, 2005;
4. მ.ფაღავა, „შავშური ჩანაწერები“, თბილისი, 2011;
5. შ.ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი, 1993.